

საქონლის-მოქმედების-სახელი... მთელი-სახელი: ბაზეთის „დროების“ კანტონში... მთუ-სახელი: ანტ, ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ბაზეთის შანი... ბაზეთის: ერთი წლით — ექვსი მან., ნახევარი წლით — სამი მან., სამი თვით — ერთი მან. და ხუთმეტრ შაური, ერთი თვით — სამი აბაზი.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიანაშვილის სახლებში. კანტონი: ივრის ბიბლიოთეკაში, სახალის მდინარეზე, შაბურის სახლებში.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

—სა ქ ა რ თ ე ლ ო: „მშაკ“ რა აკაკანებს? — კიდევ ქალაქის გამგეობას — წარმ. დგენა ს. მინსკოში — იმერეთის გარნიზონის სამღვდლოების ყრილობა ქ. მთუანში — ღვთისმშობლის კორპუსი — დენცია: სამიქოლან — აბასთუმანდანი, — ხონდანი — უ ც ხ ა ქ ე ვ ე ნ ე ბ ი: საფრანგეთი — ნ ა რ ე ვ ი — საქართველოს ცხოვრებებიდან: მათალიკოსის მღვდლისედიკის მოქმედება — განცხადებანი.

„მშაკ“ რა აკაკანებს?

სომხურს გაზეთში „მშაკ“ (№ 36) ერთი უთავბოლო და ცუდ უბრალოდ მიკანძილ-მოკანძილი სტატია წარვიკითხე მთელიისის თავდაზნაურთა საადგილ-მამულა ბანკის თაობაზედ. წავიკითხე და ჩემს თავს ვკითხე, — რისთვის დაუწერია ამის დამწერის ის სტატია და ან პატივ-ცემულს რედაქციას რის განზრახვით დაუბეჭდა. მე რომ „მშაკის“ რედაქციის პატივის-ცემა არა მქონდეს, ბევრს რასმეს ვიფიქრებდი, მაგრამ რადგანაც ვიცი, რომ „მშაკის“ რედაქცია პატივ-საცემია, ამისათვის ჩემს ფიქრებს გზა გადუღობე და „თვალბედითი შავი ყორანი“ გავიფიქრე.

მს კია რომ ერთი ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა ყოველთვის და ყოველს ქვამს თავში ვკერსა ჰსცემს ყოველს იმას, რაც კი მიმართულია მიწათ-მფლობელთ და მიწათ-მომქმედთ კეთილდღეობისადმი. რისთვის და რაღა? ამის პასუხის მიცემა ადვილია, მაგრამ რადგანაც ვიცი, რომ „მშაკის“ რედაქცია პატივსაცემია, ამისათვის ჩემს ფიქრებს გზა გადუღობე და „თვალბედითი შავი ყორანი“ გავიფიქრე.

ბაზეთი „მშაკი“ ბძანებს, რომ პრიკაზის დაარსებაშიც იგივე აზრი იყო, რაც ამ ჩვენს ახალს ბანკსა აქვს, მაგრამ ქართულთ ვერაფრად გამოიყენეს ის კეთილი აზრი და პრიკაზიდან გამოტანილი ფულები ბედოვლათობაში გაფლანგეს, მამულები ისევე აოხრებულენ და რჩათა, ეკლებში უფრო მეტად ჩაკეიდნენ, სარგებელი რიგაიანად არ შეიტანეს და ბოლოს ისე მოუხდათ, რომ ხშირად მამულები ეყიდებოდნენ. მსტყვათ რომ ვერც იყოს, ვითომ მაგითი რის თქმა უნდა „მშაკს“?

იმის თქმა უნდა, რომ რაკი აგრე თქვენი ბანკიც ვერ იხიერებსო. სწორედ მაგ გვარმა მდგომარეობამ დაჰბადა მერობაში აზრი საადგილ-მამულა ბანკის დაარსებისა. დასამტკიცებლად „მშაკს“ მიუთითებთ მინისტრის სტრუენზეს მოხსენებაზედ პრუსიის კოროლისადმი. იმ მოხსენებიდან „მშაკი“ ჰსცნობს, რომ სილენის მიწათ-მფლობელნი საზოგადოდ და თავდაზნაურნი საკუთრად გაცილებით ერთი ათად ჩვენზედ უარეს მდგომარეობაში იყვნენ ყოველის ფრთ, მაგრამ სტრუენზემ პრუსიის კოროლის წამლად უჩვენა საადგილ-მამულა ბანკი და ბოლო

რომ უებარ წამლადც გამოდგა. პრიკაზის კოფილი ზედ-მოქმედება მაგალითი არ არის. . . . მე ეუფიენები „მშაკს“ მიზებს, რომლის მეოხებოდაც პრიკაზმა ვერ მოიტანა ის სარგებლობა, რის იმედიც „მშაკსა“ ჰქონია, და სწორედ გითხრა „მშაკის“ რედაქცია არც ისეთი უწყვიარი მგონია, რომ ეგ მიზნები არ იტოდეს. მაშ თუ აგრე, — რისთვის და რად გვიტენს გულს გაზეთი „მშაკი“ პრიკაზის მაგალითითა? ამისი პასუხიც ადვილია, მაგრამ რადგანაც ვიცი, რომ „მშაკის“ რედაქცია პატივსაცემია, ამისათვის ჩემს ფიქრებს გზა გადუღობე და „თვალბედითი შავი ყორანი“ გავიფიქრე.

ბაზეთი „მშაკი“ ბძანებს, რომ ჩვენი საადგილ-მამულა ბანკი სახელდობრ იმისათვის ფუძნდება, რომ მარტო თავდაზნაურობას სესხად ფული აძლიოს. ჰსტყუის „მშაკი“. ჩვენს ბანკს წესად აქვს, რომ ფული აძლიოს ყოველს მიწათ-მფლობელს და მიწათ მოქმედს, მაშასადამე გლენსაც, ლდელსაც და ყოველ წოდების კაცსა.

მს უმეცრება იმითა, კი არ შეენიშნე რომ „მშაკს“ უმეცრება უმეცრებად ჩაეთვალოს. არა, მე ამ შენიშვნით ის უნდა მეთქვა, რომ თუ „მშაკს“ გულმტკიცეყოლობით მოსვლია ჩვენს ბანკზედ ლაპარაკი და არა სხვა რაიმე განზრახვით, — ერთხელ მაინც უნდა ჩვენგანა ჩვენის ბანკის წესდებაში და მასში უმთავრესი საგანი დაენახა. მხლა ჩანს, რომ არ ჩაუხედნია. მაშ რისთვის და რად აპილობილებულა „მშაკი“? ამისი პასუხი ადვილია, მაგრამ რადგანაც ვიცი, რომ „მშაკის“ რედაქცია პატივსაცემია, ამისათვის ჩემს ფიქრებს გზა გადუღობე და „თვალბედითი შავი ყორანი“ გავიფიქრე.

ბაზეთი „მშაკი“ ბძანებს: ბევრი კია იმისთანა მამული მთელიისის გუბერნიაში, რომ დაგრაგებული არ იყოსო? მე მოვახსენებთუ სიონამ არ ძილალატა: 1700 თავად აზნაურთაგანს მარტო თითქმის 400-სა აქვს დაგრაგებული. „მშაკი“ კი იმ სახით კითხულობს, თვითქო უხარიაო რომ დაუგრაგებელი მამული არ ეგულებო. რისთვის და რად უხარიათ თვისი სიხმარი? ამისი პასუხი ადვილია, მაგრამ რადგანაც ვიცი, რომ „მშაკის“ რედაქცია პატივსაცემია, ამისათვის ჩემს ფიქრებს გზა გადუღობე და „თვალბედითი შავი ყორანი“ გავიფიქრე.

„მშაკი“ კვლავაც იმეორებს. ჩვენი თავდაზნაურნიო თვისის უანგარიშო მეურნეობით, თვისის ბედოვლათობითაო იქამდე მივიდნენო რომ მრავალქონდათო ყოველივე დააგრაგესო, ეკლებში ჩაცვიდნენო, დაგრაგებული გადააგრაგესო და ესლათ მათი მდგომარეობა ფრიად სამწუხაროა. იქნება ვეც მართალი იყოს, მაგრამ პატივცემულა „მშაკო“, შენში რომ მაგ მწუხარებას ვერა ეხედავთ. შენ ისე ლაპარაკობ თვითქო გიხარიაო. რისთვის და რად? ამისი პასუხი ადვილია, მაგრამ რადგანაც ვიცი, რომ „მშაკის“ რედაქცია პატივსაცემია, ამისათვის ჩემს ფიქრებს გზა გადუღობე და „თვალბედითი შავი ყორანი“ გავიფიქრე.

ბაზეთი „მშაკი“ ბძანებს: ყველა ყველაო და თავდაზნაურთა ზნე და მსახიობაო. . . . კამა, სმა, ქეიფი, კახური ღვინო — აი მათი ცხოვრების იდეალია და ამის მაგალითად რაღაც შეგთხვევა მოჰყავს. ბოლოს ამასაც დიდს შნიშენლობით გამოხს: არ დაიფიქროთ, რომ ბანკს აფიციალური (ქ) დამფასებლები ეყალდება. აფიციალური დამფასებელი რა არის? იქამდინაც მივიდა საქმე, რომ ცილის წამებითაფთხობთ ხალხს? წელს ზაფხულს ძანეთის სოფლებში დიდი მოძრობა იყო სასოფლო ბანკის თაობაზედ. ჩვენმა გლენობამ დიდი სურვილი გამოაცხადა ბანკების შედგენისა და გულმმურვალედაც მოვეილა. რასაკვირველია, იქაურ ვაჭრებს ეგ ვერ ექაშიკათ. მართი ვაჭართაგანი შეხედვრთ გლენს კაცს, რომელსაც სოფელში ხმ ჰქონდა და უთხრა: ვა, რას შერებთ? ბანკიო? ბიჭო, ხო დაიღუბებით!

— რად დაეიღუბებით? შუოს იაფად ეისესებოთ, უპასუხა გლენმა.

— აბა, ეგ არის თქვენი დასაღუბო. მრთველმა კაცმა ფული რომ იაფად იშოვოს, ხომ სულ გაფლანგავს. მართელი ხარ, და ქართლის ხასიოთი არ იცი! დამიჯერე დაიღუბებით მეთქი.

— არა, შეგილო, უპასუხა გლენმა: ეგ რომ ჩემი დასაღუბავი იყოს შენ ვერც თვეს არ იტყენლიო.

რასაკვირველია ამ გვარს პასუხს მე არ ვაკადრებ „მშაკსა“, — ეცი რომ „მშაკის“ რედაქცია პატივსაცემია, ამისათვის მაგ პასუხს გზა გადუღობე და „თვალბედითი შავი ყორანი“ გავიფიქრე. C.

კიდევ ძალაძის ბაზამობას.

სწორედ საქმე გაგვიჭირვა ძალაძის სეკრეტარმა ივანე იოსების ძემ ბურგინბეკოვმა, რომელსაც იჯარით აღებულნი აქვს ქირაჯა მოსამსახურეთა და მუშათაგან ასაღები თითო მანეთი გარდასახადი! ძპრილიდგან დაწყებული აქამდის ამ იჯარადრის მოხელე კაცები ქუჩაში იჭერენ ყველას, ვინც ტარტანით და დიდკატურად არ დადი! მინ იცი, რამდენს კაცს უსიამოვნობა მიაყენეს თვისი უწესო საქციელით და მოქალაქეთ მშველი არაინ ჩნდება! ძალაძის გამგეობაში, როგორც ვიცი, ძლიერ ხშირად მიდიან ამ ხარჯის მკრეფელე ბისაგან შეწუხებული კაცები საჩივლე ლად. ბაზეთშიაც ნახე „დროების“ 17 მაისის № 423) გამოცხადებული იყო, რომ მცხოვრებლებს უწესოთ ეპყრობიან. მაგრამ აქამდის უწესობა არ მოსაბობილა. უნდა ვიფიქროთ, რომ ან ქალაქის გამგეობა უურადღობას არ აქცევს მცხოვრების მდგომარეობას, ან არა და ის ისე უძღურია, რომ ბურგინბეკოვი ვერ შერისხა და წესიერად საქციელი ვერ აიძულა; მაგრამ შეიძლება, ქალაქის გამგეობას ისეთი პირობაც დაედოს ბურგინბეკოვთან, რომ გამგეობა ხელშეკრული იყოს და იჯარადარი კი ხელ გახსნილი და ყოველივე მოქმედების უფლება

ქონდეს მას მიცემული. ამისათვის საცნობარად საქიროა, რომ ბურგინბეკოვთან მცხრული პირობა გამოგვიცხადდეს.

წარმოღებნა ს. მინსკოში.


პირველი არ არის, რომ სოფლებში წარმოღებები იმართება და წარმოამდგენელები ისე ლამაზათ თამაშობენ თავიანთ როლებს, თითქმის დიდ ხნს გამოცდილი საქციორები იყენებო. ხალხი ყველგან, სადაც კი ჰყოფილა წარმოღებნა, დიდს თანჯარძობას და ხალხის აცხადებს თეატრისადმი.

ამ ეხლაც ძანეთიდან გავიყრენ, რომ იქ ს. მინსკოში, თ. ბ. ჯორჯაძის სახლში, წარმოღებნიათ „მუნწი“. მომეტებული ნაწილი წარმოამდგენელთა ქალები ჰყოფილან, რომელთაც მშვენიერათ შეუსრულებითათ თანისი როლი; ნამეტურ კარგათ გამოსულთ იმერელი, რომელსაც ერთი ახალგაზდა ქალი თამაშობდა; კარგათ უთამაშობთ აგრეთვე მონაქარისას როლი. ძარაპიტამ კვთუმცა მთელ პიესაში ვერ იყო ისეთი, როგორიც ჩვენ გვინახავს მთელიისის სცენაზედ, მაგრამ ზოგან კი თურმე ძალიან კარგათ ხატავდა სომებს.

ამ წარმოღებნიანზედ ბევრი ხალხი უდასწრებია, ნამეტურ გლენობა. ბეწურენ, რომ უკეთესი სანახავი ძვირათ შეიძლებოდაო; დიდს სიამოვნებით აღვენება ხალხი თვალყურს მთელს პიესას და გულიანის სიცილით მიიღებდა პიესის სახუმრო ადგილებს. წარმოღებნით ორმოცი მანეთი შეუკრეფია თ

იმერეთის პარხიის საზოგადოების შრილობა მ. მთუანში.

2, 3, და 4 ამ სექტემბრის თვის იმერეთის იპარხიის სამღვდლოების ყრილობა ჰქონდა მ. მთუანში. სხობა გაიხსნა მრცხეს ერთ დიდს მთუანის სასულიერო სასწავლებლის ოთახში. მუშუტატების სიხსწავისთვის შემდეგ, წინანდელმა ყრილობის თავმჯდომარემ, ბოლოჩინმა მღვდელმა დავით ლამაზაძემ, მიხსნა მს 23 სასწავლებლის წესდებისა, მისცა წინადადება დებუტატებს თავმჯდომარის აღჩვენაზე. პრილობამ ერთ ხმათ განაცხადა სურვილი, რომ ისევე ბოლოჩინი ლამაზაძე დაჩინილიყო. ამ განცხადებაზე ბოლოჩინმა ლამაზაძემ, დებუტატებს უთხრა შემდეგი სიტყვა: „მამანო დებუტატნო! მართალია თქვენ ყოველთვის გამოცხადებული ხმის მიცემით ირჩეული ხოლომე თავს-მჯდომარეთ მამა დეკანოზს ი. შამრეკლოვს მაგრამ ეს, როგორც მამინეც ცხადდები, უწესობა იყო. თავს-მჯდომარის აღჩვენა გამოცხადებული ხმის მიცემით არ შეიძლება. მართალია, დიდი განსხვავება არ არსებობს ზოგიერთ დებუტატს დაფარულ და გამოცხადებულ ხმის მიცემაში, მაგრამ როდესაც თავს-მჯდომარის განცხადებით დაინიშნება პირი საზოგადოებაში დიდი გავლენის მქონე, მისინ ზოგიერთი დებუტატ ვერ ბედავს მის დანიშნაზე უარის თქმას გამოცხადებით; ამისთანა მაგალითებში, თქვენც იცი, ბევრია ამ გარემოებას მიქცია უწინდესმა სწოლმა ყურადღება და 20 დეკემბრის 1867 წელს განაწესა, რომ თავს-მჯდომარე არსად არ იქმნეს ყრილობაში აღჩენული გამოცხადებულ ხმის მიცემით. ამ ჩვენ ყრილობაშიც იყო ერთი ვინმე, რომელიც, თუ გამოცხადებული



კენჭის ყრით იქმნებოდა აღრჩეული თავს-
მჯდომარეობა, სურვილი აცხადებდა, მაგრამ
როდესაც ყრითობამ ისურვა დაფარული
კენჭის ყრით არჩევა მისი, მან დინახა თუ
არა კენჭის საყრელი კოლოფი მსწრაფლ
უყუნ იქცა! აქედამ სჩანს, რომ გამოცხად-
ბულის და დაფარულს ხმის მიცემაში არის
განსხვავება. ამისათვის მე გთხოვთ, მაშინ
დებუტატნი, ზემო თქმულის უწყინდისის
სინოლბა განწყვების თანახმად (§ 23 სასწავ-
ლებელია წესდებისა,) აღიჩინოთ თვის შო-
რის თავსმჯდომარეთ ვინმე დებუტატთაგანი,
და ამასთან საქმის მწარმოებელიც.

შრილობამ თვის შორის დებუტატთაგანი
არ აღიჩინა თავს მჯდომარეთ. მით ხმად
სთხოვეს ბოლოჩინს ლამაზიძეს თავსმჯდო-
მარეთ ღარჩენა ამ ყრითობაშია ციკო კენ-
ჭის ყრა მაზე და გარდა ერთისა ყველა მსუ-
რეველების აღრჩევითი ხმა (კენჭი) აღმოუჩ-
და. ამაზე შეაყენეს თუ არა სიგელი, დებუ-
ტატების ხელმოწერის შემდეგ ბლოლოჩინმა
ღამაშიძემ შეკრებილებას უთხრა შემდეგი
სიტყვა:

პატივცემულნი მაშინა დებუტატნი!
შმაღლობთ თქვენ იმ რწმუნებისთვის, რა-
მელიც თქვენ მე დღეს მიჩვენეთ. ღმერთსა
ესთხოვ, ჩემი მოვალეობა ამ საქმეში კეთი-
ლად აღმსრულებელინა. ამას წინეთ რომ
ყრითობა იყო, მაშინაც ესეთი რაობად
სიტყვა თავსმჯდომარის მოვალეობაზე, მაგ-
რამ რადგან დღეს აქ ისეთი დებუტატები
არაიან, რომელნიც მაშინ არ ყოფილან, ვი-
ტყვი კიდევ რაობად სიტყვას თავსმჯდო-
მარის შესახებ. თავსმჯდომარე არის დანი-
შული წესიერების დასაცვლად. მან ყო-
ველ თქვენგან გამოთქმულ აზრს, მოქმედ-
ბას და გარდაწყვეტილებას უნდა მისცეს
ფორმალურად მსგელოება, თუ კანონის წი-
ნაღმდეგი არ არის. თავსმჯდომარეს არა
აქვს უფლება თქვენდა უნებურად თქვენს გა-
მათქმას, მოქმედებას და გარდაწყვეტილე-
ბას თავისით მოუშალოს, ანუ დაკლოს რა-
იმე. მაშასადამე კარგათ და ცუდათ წაყვანა
თქვენის საქმისა თქვენზევე არის დამოკიდ-
ებული, როგორც იციან ზოგიერთთა, წინეთ
ყრითობებზე მრთელი დღე გრძელდებოდა
ლაპარაკი თავსმჯდომარის აღრჩევაზე. ბო-
ლოს კენჭის საყრელი კოლოფის მოტანაზე
შეიქნებოდა ერთი უსარგებლო გაუთავებე-
ლი ბაასი და შემდეგ უბრალო და ხანდის-
ხან უსარგებლო საგნებზე ლაპარაკისა. დე-
ბუტატები არ აქცევდნენ ყურადღებას ისეთ
საგნებს, რომელნიც ყურადღების ღირს-
ნი იყვნენ. ეს უყურადღებობა, როგორც
სჩანს, სასწავლებელს არ დაუჩა სასარგებ-
ლოდ. 1873 წელს იენისის 28 რიცხვა მე,
როგორც სასწავლებლის სამმართველოს წევ-
რმა, განუცხადე დებუტატებს მოსამზადებე-
ლი კლასის ოთახების აღშენება სასწავლებელ-
ლის სიბუთავისა. ამას ყურადღება არ მიაქციეს,
და მიზეზი არ ვიცი, მაგრამ, დღეს რო-
გორც სჩანს, არ ურჩებდა სასწავლებელს
და სამღვდლოებას სასარგებლოდ.

ამ ჩვენი შეკრებილების სალაპარაკო
და გარდასწყვეტი საგნები ზევითა. სხვათა
შორის ამ ყრითობაზე ჩვენ უნდა ვიკონი-
ოთ მსჯელობა სასწავლებლის ზედამხედ-
ვლის აღრჩევაზე, რომელზედაც დიდი მო-
უქიერება გვიმართებთ ყველა დებუტატებს.
შველა ჩვენი შეილებების გზებით და ზნეო-
ბითი აღზრდა ზედამხედველზე არის თითქმის
დამოკიდებული. ამისთვის მე გთხოვთ, მაშ-
ინა დებუტატნი, დრო დაუკარგავად შეუდ-
გეთ იმ საგნებზე მოლაპარაკებას და მსჯე-
ლობას, რომლისათვის ერთ ჩვენ შეკრე-
ბილნი. ამას გარდა ნურც იმისთანა საგნებს
დაისტრავებთ უყურადღებოთ, რომელიც ჩვე-
ნი სასწავლებლისათვის სასარგებლო იქმნე-
ბოდეს. იქონიეთ მხედველობაში, რომ თქვენ
მარწმუნებლებს თქვენზე დიდი მოვალეობა
აქვს დადებული, რომლისა აღსრულებას სეი-
ნიდისიანათ ყველა თქვენგან, უნდა ცდილობ-
დეს...

ამის შემდეგ, მიიღო თუ არა დამტკიცება
თავსმჯდომარეობაზე ბლოლოჩინმა ღამაში-
ძემ, ყრითობა შეუდგა სხვა და სხვა საგნებ-
ზე მსჯელობას.

პირველი საგანი ყრითობის მსგელოება-
სა იყო სასწავლებლის ზედამხედველის აღ-
რჩევა სამღვდლოებისაგან კენჭის ყრით.

იმერეთის სამღვდლოებას მხედველობაში
ჰყავდა რამდენიმე კანდიდატები ამ თანამდებო-
ბაზე, მაგრამ ზოგს მათგანს ჯერეთ კურსი არ
შეუსრულებია და ზედამხედველის აღრჩევა კი
მიუცილებელი იყო. ზოგმა თავის სამშობლო-
ში არ ისურვა სამსახური, შემდეგი სიტყვების
ძალით: „არა არს წინასწარმეტყველი შე-
ურაცხი გარნა საფელსა თვისსა და სან-
ლსა შინა თვისსა!“ რომელითაც განაცხადეს
სურვილი მათზე კიდევაც იყო კენჭის ყრა.

ამ თანამდებობაზე ორი კანდიდატი იყო.
მრთად იყო ძახანის აკადემიაში კურსს შე-
სრულებული უ. მიხეილი ასათიანი და მუ-
თისის სასულიერო სასწავლებლის მასწავ-
ლებელი სტუდენტი სემინარიის მიხეილ მა-
კალონი. ხმის მქონე დებუტატების რიც-
ხვი იყო (43) თრმოცდა სამი. ამ ხმებში 41
აღრჩევითი ხმა მოუვიდა უ. ასათიანს და 26
აღმოუჩინდა უ. მაკალონიანს. დიდი ფიქრი
მართებს მართლა კაცს, რომ ამ თანამდებ-
ობაზე ისეთი აზრი არ აღიჩინოს, რომ
ბოლოს სანანებლად საქმე არ გაიხადოს. უ.
ასათიანზე იმერეთის სამღვდლოებას დიდი
იმედი აქვს და თუ სასწავლებლის საქმე რა-
გორც სწავლის შესახებ ისე ეკონომიურად
კარგა წაიყვანა, დიდ ხანს დასტოვებს თავის
სახელს მოსახსენებლად სამღვდლოებათა
შორის. მიუხედავად, რომ სამღვდლოების
მოლოდება აღსრულებული იყოს....

მეორე საგანი შეკრებილების მსჯელობისა
იყო სასწავლებლის სამმართველოს წევრ-
ების აღრჩევა სამღვდლოების მხრით, სასწავ-
ლებლის წევრებით (იხილეთ სასწავლებლის
წესდების § 24) სამღვდლოებას ეძლევა უფ-
ლება თავის მხრით სასწავლებლის სამმარ-
თველოში იყოლიოს ორი სამღვდლო პი-
რა წევრად სამსახურის წლის ვადით. ამათი
აღრჩევა მათ სურვილზე არის დამოკიდ-
ებული. მაგრამ ძლიერ სამწუხაროა, რომ
სოფელთაგან არავინ შეიძლება დანიშნოს
სიშორისა გამო. სოფელი მღვდლისათვის
მართა ამ თანამდებობაზე სიარული კვირაში
თითოჯერ მართლა საძველო არის. მა-
ლაქის მღვდლები, როგორც მოგვხსენებთ,
ცელთაძინი არიან აღსილნი სხვა და სხვა
თანამდებობით და ამისთანა ჯგამაგრო და
უსარგებლო თანამდებობას არცკი ისურვებს,
თუ ჯილდოს მიღების სურვილი ძილშია ცკი
არ აძლევს ნებას. მუთათის შიაც კი არიან მსურ-
ველები ამ თანამდებობის მიღებისა, მაგრამ
მათ სამღვდლოები ძალა-უნებურად ირჩე-
ვენ, რადგან სოფელს ნებას არ აძლევენ
ამ თანამდებობას მიღებისას. როგორც
გამიგონია ქალაქში მყოფ წევრებსაც იმდენ-
ათ უძინებდებოდათ სასწავლებლის სამმარ-
თველოში სიარული თურმე, რომ ხშირად
მოსდის ხოლმე სასწავლებლის ზედა მხედ-
ველს დაბარებაზე ამ გვარი პასუხი: რად-
გან ჯორი ანუ ცხენი ვერ ვიშოვნე, ანუ
უქიფეთ ვარ, ვერ მოვიდარე. ამისათვის
დათრგვდა სასწავლებლის კურნალს ხელ
მოსაწერათ სასწავლებლის სტორაჟი. მა-
საუბედუროდ, როგორც ამბობენ, ყველგან
არის.

1872 წლიდან ამ წლის 11 სექტემბრამდ-
ინ სასულიერო წოდების მხრით წევრებათ
იყვნენ ანაშნულნი დეკანოზი სიმონ მი-
ქიევი და ბლოლოჩინი მღვდელი ღვთის ღამ-
ბშიძე. ეს უკანასკნელი თავის თხოვნით
იყო დამთხოვილი 1873 წელში იენისის თვე-
ნი და მის ადვოლზე იყო დანიშნული მისი
კანდიდატი მამა დეკანოზი ი. ბამრეკლოვი
მეორე სამღვდლოების ყრითობაში. მე-
ორე სამღვდლოების ყრითობა იყო ამ
თვის აპრილის 7, 8 და 9. ამ ყრითობაში
რადგან დეკანოზს ბამრეკლოვსაც უარი არ
უბოძებდა სამღვდლოების კითხვაზე, ყრითობ-
ბამ დასტოვა ამ სექტემბრის 1 რიცხვა-
დის. ამ სექტემბრის 2-ს ნაცვლად ყოფი-
ლთა წევრთა ყრითობამ აღიჩინა ოთხი კან-
დიდატი. 1 ბლოლოჩინი მ. დ. ღამაშიძე 2
ბლოლოჩინი მღვდელი ანტონ შალანჩიძე,
3 მღვდელი სიმონ ჩარკვიანი და 4 მღვდელ-
ლი იოსებ აბრამიშვილი. ამ კანდიდატებში
აღრჩევითი ხმა აღმოუჩინდა შ. ღამაშიძეს
41, ბლოლოჩინს მ. ა. შალანჩიძეს 31,
მღვდელს ი. აბრამიშვილს 28 და მ. ს. ჩარ-
კვიანს 26. სამღვდლოების მხრით წევრ-
ების აღრჩევა ამით გათავდა და ამაზე შემდგა-
რი სიგელი ხელმოწერილი დებუტატთაგან
ყრითად სამღვდლოის წარუდგინეს, მაგ-
რამ მათში რომელი დამტკიცდა და რომელი
არა არ არის გაგებული.

X.

(დასასრული იქნება).

სექტემბრის 5-სა 1874 წელსა.

„დროებას“, კორესპონდენცია

ს. სამიქო, 25 აგვისტოს.

სოფ. სამიქო, რომელშიაც, — როგორც
აჩვენებს თვით ეს სახელი, უმეტეს ნაწილად,
მიქამები ცხოვრობენ, — მდებარეობს ცხენის
წყლის მარჯვნივ, სოფ. ბანძის მახლობლად.

მშენებრივი მდებარეობა, ბუნებითი სიმ-
დიდრე, შორის მოყვარე და ნაყოფიერი
მცხოვრებლები — სამიქოს ერთ კარგ სო-
ფელს ადარებს; მაგრამ, ამასთანავე, იმას ძა-
ლიან ამცირებს ხალხის მეტის-მეტე უსწავ-
ლელობა, ამბარტაენობა, განვითარებული
ქურდობა და სხ ამისთანა ცუდი მხარეები
არ ვიცი ეს უკანასკნელი სენი (ქურ-
დობა) ვისა მაგალითით მიუღიათ, ან რა
მიზეზისა გამო სჭირს. მ. კი ვიცი,
ხშირი სტუმარი ვარ ამ სოფელში, რომ
ქურდობას კარგათ გაუდგამს ძირი ხალხში,
წასრულ თვეში ერთი აქაური ეკლესია გაუტე-
ხიათ. მღვდელი ეკლესიის მახლობლად
ცხოვრებს. მანშობის დრო იყო, მღვდელ-
მა, როგორც ამბობდა თვითონვე, საყდარში
ანთებული სანთელი შენიშნა, მიიბრინა სპ-
რეკლოთან და რეკა დაიწყო; გ-ხშირებულმა
ზარის ხმამ ხალხი ჩქარა მოაგროვა, მაგრამ
ქურდს ვერ მათუწრეს. ნახეს, რომ მოპარუ-
ლი ბევრი არაფერი იყო, ფულებიანი კრუ-
შკა და ზოგიერთი საეკლესიო ნივთები კა-
რებთან დაყრილი დახვდათ.

ზოგიერთ ეკლესიებს დამ-დამ სოფლე-
ლები უყარაფლებენ ხოლმე რიგ-რიგათ,
კი ეს არ ყოფილა, მაშინ როდესაც აქ
მღვდელმა გატეხა და ქურდებს დააბრალო.
მაგრამ უფრო უკანასკნელი უნდა ყოფილ-
ბენ. ხშირად, ძალიან ხშირათ, ოჯახში ქა-
ლები პარავენ კაცებს ნამუშევარს, პირუტ-
ყვებს და სხვა წვრილან ნივთებს და ჩუმ-ჩუ-
მათ ჰყიდნან ან ახლო ქალაქში, ანა და სო-
ფელშივე. ეს კიდევ არაფერი; ბევრი ისეთი
ქალებია: ახალგაზდა გასათხოვარი ქალებიცა,
რომ სოფელს გარეთაც (ხონში, მკობრში,
ბანძაში) ქურდობენ ხოლმე; პარასკობით,
ან ისეთ დღეებზე, როცა ამისთანა დაბაებში
ვაჭრობა არის, წავლენ ქალები, ამოუჯდ-
ბიან ვაჭრებს გვერდით, ამ ქალებს უკან კი-
დეე ქურდი ქალები ამოუსხდებიან; წინა
ქურდი უკანას აძლევს ნაპარავს, ის სხვის
გარდასცემს და ამნაირად მოგროვებულ ნა-
ქურდალს წამოიღებენ სოფელში. მაგალითს
მოგახსენებთ: ოთხი გაუთხოვარი ქალი წა-
სულა სამიქოამ ახ. სენაკში იარმუკობა-
ზე და ფერის ცვალობიდან მარიობამდი
იმდენი მოუპარავს, რომ სოფელიდან კაცი
დაუბარებიათ და ერთი ცხენის საპალნე ფრ-
თალი წამოუღიათ სახლში. ამნაირათ ქალებ-
ბის ქურდობა თითქმის მომეტებულია ამ
სოფელში, ვინემ კაცებისა ამ გვარი ქურ-
დობის მოსასპობლად ამ სოფელში ამორჩე-
ული იყო ათ მოსახლესზე თითო კაცი, რა-
მელსაც „ხევის-თავს“ ეძახდნენ, და რომლის
მოვალეობა იყო, აღმოეჩინა ოჯახში ქურდი,
მაგრამ ახლა, არ ვიცი რატომ (ალბათ უ-
მამასახლისის განკარგულება იქმნება), აღარ
არაიან ხევის-თავები.

ამ სოფლის მახლობლად ორ ვაჭარ კაცს
დაუწვა ვიღამაც ღუქანი, რომელშიაც, რო-
გორც ამბობენ, სამოცი თუმნის ახალი მო-
ტანილი, გაუსხნელი სხვა და სხვა სავაჭრა-
ები იყო თურმე. ამის დამწველიც ქურდები
იქნებოდნენ, მაგრამ ღუქანში ორ კაცს ეძი-
ნა თურმე, და რადგანაც ვერ გატეხეს — და-
წვეს.

„შეი ჩოხა, თეთრი ქული.
ყველა ქურდი.
. კულურია, წყალში ამოწუმ-
პლულია,
დღე ძინავს და ღამე არა, თვალზე გად-
მოკუსულია“

ხომ ტყუილად არ იმტარებ სოფლე-
ლები!...

სამიქველები ძრიელ უხვირობები არიან,
რომ ამისთანა დიდ და მდიდარ სოფელში,
საცა თავდა-ზნაურობაც ბევრია, ერთი უბ-
რალო შკოლა არა იქეთ. მაგრამ რა ამითი
ბრალოა? ხალხი ძალიან მსურველია შკო-
ლისათვის, შეილებების გამოზღისათვის (ამის
მაგალითს მე მოგახსენებთ); არ დაიზარებენ
თავიანთი შეილებისათვის თვეში თოთო-ორ-
ორ მანეთს, მაგრამ ამას მოთავე კაცი სჭირ-
დება. დასამტკიცებლად იმისა, რომ აქაურ
გლეხებს სწავლის სურვილი აქვსთ, სხვათა
შორის, ესეც საკმაო უნდა იყოს: შარშან
წინ აქ ერთ მღვდელს ჰყავდა რამოდენიმე
ბოეშები და ასწავლიდა ერთ ქოხში უხვირო
მეთოდით (ჰაზ, ბუკი, ვედი, დღალოლ“) რუსულ
წერა-კითხვას და რუსულ გალობას
სოფლელები პატარა ქალებსაც აზზენდნენ
სასწავლებლად. თუმცა იცოდნენ, რომ მა-
სწავლებელი კარგი ვერ იყო, მაგრამ ბოე-
შებს სასწავლებლად აზზენდნენ მასთან და
ინდიდნენ თვეში სამ-სამ აზზს. რომ ქარ-
თულიც გახსენებოდა და არ შეძლებოდა
ამ მღვდელს, უქველია, მეტსაც მისცემდნენ.
შარშან სოფლელებს მოყვანათ აქ ერთი
ქართული მგალობელი, რომელთანაც ცოლ-
შვილიანი ეაქცევი მუშაობას თავს ანებებ-
დნენ და „კიარიიელისონს“ ყვიროდნენ დი-
ლიდგან საღამომდი. ეს მგალობელი ახლაც
ჰყავსთ ხარჯთან ცოტა ფულებსაც აძლევენ
და კარგა მიღებული ჰყავსთ.

თეოდ. ძანდელია.

აბასთუმანი 24 აგვისტოს, 1874 წ.

თბათვეში და კათათვის პირველ რიცხვებ
ში აქ ძრიელ გრილობა, ხშირ-ხშირად კი-
დეეც წვიმა და ამის გამო საზოგადოება
ცოტა მოუზუნელი იყო. ბევრჯელ გამიგო-
ნია ამ გვარი საჩივარი; ბატონო, ღამით ლა-
მის სიცივით გაეწყდეთ, ასე რომ გეცოდ-
ნოდა ჯერეთ როგორ გაგებდადეთ აქ წა-
მოხვალასა. აი დადგა თბილი დღეები და
სიცოცხლის ჩილხი დატრიალდა. ახალცი-
ხელი მუზიკა თავის ჰრიჭინის ხმით შეიქმნა
პირველ სალაპარაკო საგნათ. დანიშნეს სა-
ტანცო დღეები; იქნა კვირა და ხუთშაფათი
შეანიშნავე გასათხოვარი ქალებისათვის.
აბასთუმანის ჰაერის წყალობით სხვაგან და-
ვარდნილი კავალერები აქ პირველ კავალე-
რებათ აღმოჩნდნენ. ახალციხის მოსამს. ხურე
კაცებმაც გამოაჩინეს პირველი კავალერობა
და ყოველ კვირა დღეს დაიწყეს აბასთუმან-
ში ამოსვლა. ასე ყოველ ხუთშაფათს და
კვირა დღეს აბასთუმანის მოთამაშე ხალხი
დიდის გულმოდგინებით იმტრეეს ფხვებს
ტანციობით როტონდში, რომლის ფი-
რულ პოლს, მგონი, შალაშინ, თავის დღე-
შიაც არ მოხვედრია.

მართა ტანცობაში, მუზიკის სმენაში,
რომელიც ხუთშაფათს და კვირა დღეს გარ-
და იკვროდა სამშაფათ-პარასკეობითაც, არ
ატარებდნენ აქაურები დროებას. მალე მი-
ჰყვეს ხელი პიკნიკებს. მაგრამ ერთი ორი
პიკნიკით არ გათავებულა საქმე. სომხებიც
ფსონით ატარებენ დროებას. ამათი ცოლე-
ბი კიდევ ხშირათ შეიკრიფებოდნენ ხოლმე
ერთმანეთთან და დიდის გულს-მოდგინებით
ლოტოს თამაშობდნენ. ძამაზინებმა, ტან-
ცობამ, ლოტოს თამაშობამ ვერ დააკმაყო-

ფილეს ზოგი ერთი და მალე გამოაგონეს ცხენებით სერიანობა. უნდა გენახათ რა აბაგი იყო ხოლმე თითქმის ყოველ დღე სადილს უკან: რამდენიმე ცხენოსანი ქალი და ეაჭი მიაქროლებდნენ ცხენებს ქუთაისის გზაზე, რომ რა არი ერთი კიდევ ენახათ „Исторія оварованія“ როგორც ეძახდნენ ერთს მშვენიერ ადგილს. ბევრჯერ უფრო შორსაც მიდიოდნენ. ხშირად გაევიგანებდი საჩივარს დედ-მამებისაგან ამ გარეგნობაზე: მამებს ბრავი მოსდიოდათ, რომ იმ თი ქალები ფულებს აბნევენ ცხენების საქირაოდ; დედებს კიდევ გული უსკდებოდათ, რომ იმათ ქალებს გზაში უბედურება არ სწევოდათ. სასაცილო ის იყო, რომ თუმცა დედ-მამებს არაფრათ ეპიტანებოდათ, რომ იმათი ქალები ჯირითობდნენ, მაგრამ კი არ უშლიდნენ: „თუ კი ამისი და ამისი ქალი სერიანობა, ჩვენი ქალი რაღა? მართალია ფულები გვეხარჯება, ჩემო პატრონო, მეც კიდევ შიშით გული მელევა, რომ არაფერი დაემართოს ჩვენს ქალს, მაგრამ რას ექმთ, თუ კი აქ ამისთანა ადგილია“, ეუბნებოდა ხშირად ცოლი ქმარს.

როდესაც საზოგადოება მუზიკის სმენით, ტანცაობით, კამპანიებით, ზოგნი კიდევ ლოტოს თამაშობით ძალზე იყო აბუღბუღებული, მაშინ ახალციხიდან ჩამოვიდა იქაური ქალების უფასო შკოლის მოთავე, მუსხელიძის მეთავე, იმ განზრახვით, რომ ალევგრის შეწყობით ფულები მოეგროვებინათ თავის შკოლისათვის.

29 ივლისს კიდევაც მოხდა ეს ალევგრი ამ საქმეში ისეთივე ცოცხალი მონაწილეობა მიიღო ქალების ახალგაზრდობამ, როგორც კამპანიებში, ჯირითობაში და სხვა შესაქცევარ საქმეებში. ამათ ალევგრს ისე შეხედეს, როგორც გულ-გასართობელ საქმეს. ნუ იფიქრებთ, რომ ის ხალისი. რომელიც აქ ზოგიერთმა ქალებმა ალევგრში გამოიჩინეს, ეთომც ხალხის განათლების თანაგრძნობისაგან წარმომდგარიყოს. ხალხის განათლება როგორც იმათი ქუთა-გონებისათვის, ისე იმათი ზოგი ერთი კავალერებისათვის მიუწოდომელი საგანია. მაგრამ ესეც უნდა შევნიშნო, რომ როგორც ქალები შორის, ისე კაცებ შორის იმისთანებიც ვხვდებით, რომლებმაც მიიღეს გულითადი მონაწილეობა ალევგრის საქმეში სწორეთ იმის გამო, რომ ხალხის კეთილ-დღეობა იმათთვის ძრიელ ძვირფასია. მაგრამ ჩვენდა სუბედუროთ იმათი რიცხვი ძლიერ ცოტა იყო და მარტო იმათ რომ ეკისრათ ალევგრის საქმე, მაშინ შკოლის მოთავე დიდ ფულებს ვერ მოაგროვებდა. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ აბასთუმნის სტუმრებმა ალევგრი ისე მიიღეს როგორც გულის გასართობელი საქმე. ამისათვის ბევრი ბილეთები და სასმელები გასაღდა. ამ გვარად ერთ საღამოს ოთხი საათის განმავლობაში მოგროვდა 574 მანეთი.

აქ უადგილო არ იქნება ესთქეთ ერთი-ორი სიტყვა იმ შკოლაზე, რომლის სასარგებლოთაც ეს ფულები შეიკრება.

ახალციხის საქალებო შკოლა დაარსებულია მუსხელიძის მეთაურობისაგან და როგორც გაგივია კარგათ მიყავს საქმე. ახალციხელები დიდად ემადლიერებიან მას. მხოლოდ ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ შკოლა, სადაც სწავლა ხდებოდათ მიყავთ თითონ მუსხელიძისას და იმის თანაშემწეს (ამას შრომისათვის ეძლევა შკოლისაგან წელიწადში 400 მანეთი ჯამაგირი) არის დაბალს, ბნელს ერთის სიტყვით უმგზავსო ოთახში. ბარედამ რომ კაცმა შეხედოს, თავის დღეში ვერ იფიქრებს, რომ ამ სახლში შკოლა შე-

იძლება იყოს, ეს აბაგი დიდად სამწუხაროა და ახალციხელები ვალდებული არიან, თუ მათთვის ძვირფასია სწავლა, რაც შეიძლება მალე უშოვნონ ქალების უფასო შკოლას გვირავი სახლი. მიამბებს, რომ ახლა მუსხელიძისას და მის თანაშემწეებს აზრათ აქეთ შკოლისათვის სახლი ააშენონ; მაგრამ ზოგი ერთი მიზნებისა გამო ეს აზრი ვერ ვერ აუსრულებიათ. მაგრამ საშკოლო სახლის აშენებამდს საქირაოა, რომ ქირით მიინც დაიჭირონ კარგი სახლი; ამ გვარ საქმეში წყურება არ შეიძლება, რადგანაც სახლი შკოლისათვის პირველი საქირება არის. დარწმუნებული ვართ, რომ შკოლის მოთავემ ეს ძლიერ კარად იცის და ამისათვის ხეირიანი სახლის მოგნას ეცდება. სანამ შკოლა თავის ხარჯით საკუთარი სახლის აშენებას შეიძლებდეს.

დროებითი აბასთუმელი.

ხანი, 6 სექტემბერს.

მსურს გაცნობოთ თქვენ და „დროების“ მკითხველთ, რა წყაროები აქვს ხანის უფასო შკოლას და როგორ მოწადინებული არის ხანის საზოგადოება ამ მართლა რომ სამადლო საქმის თაობაზე. შკოლის შემოსავალი აი რა არის: შემოსულა აქამდის 1600 მანეთი, რომლიდანაც დაინარჯა 700 მანეთი, დარჩა 900 მანეთი. ძიდე ყოველ წლობით შემოსავალი წევრთაგან 300 მანეთამდის და დროებითის ხელ-მომწერთაგან 700 მანეთი, სულ-1900 მ. თუ კიდევ ხანის ქალაქის შემოსავლისაგან მთავრობამ ყოველ წლობით დაუნაწია 500 მანეთი, რომლის იმედიც გვაქვს, მაშინ შემოსავალი იქნება 2,400 მ., რომლისაგან ჩვენ შკოლას მიეცემა კარგი საფუძვლიანი არსებობა. მსლა ჩვენი საზოგადოება შეუდგა სახლის კეთებას ამ შკოლისთვის, რომლისთვისაც თითქმის მასალა სულ შეამზადა. ეს სახლი იქნება აშენებული სხვა უმჯობეს პლანზე, ვინც ვაქვების შკოლა. პლანი ისეთია, რომ, ვგონებ, შკოლაშივე იქნება რამოდენიმე ოთახი იმ ქალისათვის, რომელსაც საზოგადოება დაიჭირავენ შკოლაში ზედამხედველად. იმედი, რაკი სახლი ექნებათ ხონელებს შკოლისათვის, კარგ მასწავლებელ ქალს მოიყვანენ. უნდა გეკონდეს სრული იმედი, რომ ამ ორ თვეში ჩვენ შკოლას ექმნება საკუთარი სახლი და ყოველის ფერი მისი მოწყობილება. აშენებაში, ვგონებ დაინარჯოს 4000 მანეთამდის.

ხონელები ძლიერ მოწადინებულნი არიან, მისცენ წარმატება ამ საქმეს და მით მოუტანონ სარგებლობა არა თუ მარტო თავის თავს, მთელს საზოგადოებას და მისს კეთილმდგომარეობას.

ფ. მ.

უსხო ქვეყნები

საზრანბეთი.

რესპუბლიკის კიდევ ერთხელ გაუმარჯვებია 2 სექტემბერს კენჭის ყრავედ. რესპუბლიკელ კანდიდატს მელიეს მოსვლია მენისა-და-ლუარის დეპარტამენტში ორმოცდა ხუთი ათასი თეთრი, მაშინ როდესაც მაკ-მაჰონის მომხრეს მოსვლია ოცდა ექვსი ათასი თეთრი და ბონაპარტელს ბერყეს ოცდა ხუთი.

ლუი-შლიბეს ნამინისტროლი, ოტორიკოსი ბიზო გადაცელია. ამ კაცს დიდად მნიშვნელობა ჰქონდა ერთხელ საფრანგეთის ცხოვრებისათვის. მსლა ბიზო მოხუცებული იყო, მაგრამ კიდევ ჰქონდა მსურველე მონაწილეობა პოლიტიკაში. აშობენ, რომ ბროლის გამარჯვება და ტიერის პარტიის დამარცხება 24 მაისს სულ ბიზოს რჩევით მოხდა.

შულ-სიმონს წამოუთქვამს რეიფში სიტყვა რომელშიაც ტიერის ნამინისტროლი ამტკიცებდა, რომ ბონაპარტის მომხრეების გამარჯვება ძალადონში და ნიევრში საყოველთაო კენჭის ყრავედ რესპუბლიკელების სიძაბუნის მიზეზი არისო. შულ სიმონი დარწმუნებულია, რომ რესპუბლიკელ პარტიას მოვლის ბოლოს და ბოლოს გამარჯვება და ეხლანდელი დროებითი მდგომარეობა მოითხოვს მერსალის კრების დაშლას. ხალხს, რომელიც თავისუფლებისთვის მხნეთ იბრძვის, არ შეიძლება რომელიმე დროებითმა ცუდმა მდგომარეობამ დაუკარგოს ნათელი მომავალი, თავისუფლათ და კეთილშობილათ ცხოვრების საშუალება.

ლეგიტიმისტების ორგანი გაზეთი უნივერსი დაუზურავთ ორი კვირით. უნივერსი ძალიან გაჯავრებული იყო იმაზე, რომ საფრანგეთის მართებლობამ იცნო ეხლანდელი მსპანის რესპუბლიკა. უნივერსი ერთობ გაცხარებით ლაპარაკობდა თურმე მსპანის რესპუბლიკის თავზედ მარშალ სერანოზედ, და ეს მიზეზი იყო, რომ უნივერსი აღარ შეიბრალებს მინისტრებმა.

ბაზეთებში დაბეჭდილია ზომიერ რესპუბლიკელი კანდიდატის სენარის წიგნი ალბერ შოლისთან. სენარი მადლობას სწირავს რადიკალურ რესპუბლიკის მომხრეს შოლის, კანდიდატობის დათმობისათვის კენჭის ყრის დროს და ეუბნება შემდეგ სიტყვებს: „ჩვენ ეხლა ყველას ერთი საქმე გვაქვს. ეს არის თავისუფლების დაცვა იმ ურიცხვი მტრებისაგან რომელიც გარს ახვევია რესპუბლიკას. ძველი ანდაზა, რომ ერთობა შექმნას ძლიერებს, მაგრამ არასოდეს თავისუფლების დაცველებს არ გაუგიათ ეს კომპროტება ის მშვენიერათ, როგორც ეხლა ჩვენია გამარჯვება, რესპუბლიკის არის მომავალი.“

მსლა ბაზენის ნაადიუტანტევი შილეტის გამსაჯულება გათავებულიც იქნება: მოწადუნდა წარმომდგარ იყო შილეტის მხრით ბაზენის ცოლი. საკვირველია, რა ფასს დასდებს სამსაჯულო მადამ ბაზენის ჩვენებას ამ საქმეში?

მსლანდელმა მართებლობამ ისეთ უკიდურესს უგუნურებამდის მიადწია, რომ მარსკლში ორი მოქალაქე სამართალში მიუციათ ნაპოლეონის ჩამოგდებისათვის. სამაჯულომ გამართლა ისინი საზოგადოებამ ტაშის ცემით და ბრაოთი მიიღო ეს განჩინება.

მსპანის მინისტრის შეილს საბელს უნივერსის რედაქტორი მელიოა დუელში გამოუთხოვია თავის მამის შეურაცხყოფისთვის. მელიომ უპასუხა, რომ ის მინისტრს საბელს ჰკიცხავდა და არა უბრალო საბელს. ანირებული თავის გამართლება თუ გინდათ ეს არის!

ბარობალდის ბევრჯერ სთხოვეს ეხლანდელ მსპანის რესპუბლიკის დახმარება. მაგრამ ბარობალდის უპასუხა, რომ ასე, რე დარწმუნებული ვარ, რომ მსპანის ხალხი სიამოვნებით მიიღებდა, მაგრამ ამაზედაც დარწმუნებული ვარ, ეხლანდელი მსპანის მართებლობის კაცები ყოველის ღონის ძიებით ეცდებიან, რომ ხელი შემოშალონ და ამისთვის მე ვერ მივიღებ ვერაფერ თარ მონაწილეობას.

მაკ-მაჰონი ყველგან, სადაც კი შეხედება, ლაპარაკობს, რომ ის არავის არ დაანებებს ამ შეიღ წელიწადს საფრანგეთის მართებას. მაშვიდ წელიწადს პრეტენდენტებმა კბილები ცხვენზედ უნდა შემოინახონ და შეიღ წლის შემდეგ, ვინ იცის, იქნება ისე დაბლაგვედეს, რომ საშიშარიც აღარ იქნეს.

ლეგიტიმისტ ლენერალს დეტამპლა ერთობ ცხარე წიგნი დაუწერია გაზეთში მაკ-მაჰონზედ და მრლოვანების მომხრეებზედ. დეტამპლასწერს: „რას რომავს მაკ-მაჰონი თავის უფლებებზედ? ეს უფლება ჩვენი მიცემულია და ჩვენვე შეგვიძლია წაგართვათ. მეორე, განა მის მოვალეობაზედ ნაკლები მოვალეობა გვაქვს ჩვენ? ამ წიგნის შემდეგ ლეგიტიმისტებს და პრეზიდენტს შუა ყოველი კავშირი და თანხმობა დარღვეულია.“

ამ მოკლე ხანში მიმპნენის და პოლ-დე-მასანიაკის პროცესი იქნება. ამ პროცესს საზოგადოება დიდს მოუთმენლობით მოვლის. მიმპნენი უჩრდის მასანიაკს ცილისწამებას და იმედიც აქვს, რომ სედანის სირცხვილი მარტო ნაპოლეონ მესამეს მოახვიოს თავზედ.

ნაკვეთი

— იაპონიაში მყოფი ინგლისის ელჩი ატყობინებს მთავრობას, თუ რა ღონეს ხმა რომს იაპონიის მმართველობა სწავლისა და განათლების წასახლისებლად 1872-ში იმას გამოუტია კანონი, რომლითაც იაპონია შეიღ საუნივერსიტეტო მაზრად გაუყვია და მას აქეთ ორის წლის განმავლობაში ათას რეა ასი კვირობითი შკოლა დაარსებულა და სამათას ექვსას ოცდაათი სახანონო. ამ შკოლებში სწავლობს სამას ორმოცე ათასი ვაჟი და ასათი ათასი ქალი. აქას გარდა უმაღლესს სასწავლებელში არიან ოცდაათი ათასი მოწაფე. მართის სიტყვით ყველა სასწავლებელში მყოფი მოწაფეები ნახევარ მილიონამდის ყოფილა.

— დიდი ხანი არ არის, რაც პეტერბურგში მომკედარა ერთი კაცი, რომელსაც ახირებული ანდერძი დაუტოვებია: ანდერძში ნათქვამია თურმე, რომ მთელს ყოფა-ცხოვრებას ჩემს ძმის წულს უტევებ იმპრობით, რომ რაც ჩემს სარდაფში ღვინოები დარჩენილა ყველა გარდააქციოს და შემდეგ თავის სახლში ერთი ბოთლი ღვინო აღარ იქონიოსო. ამას გარდა ამ ჩემმა მეგობარმა ყოველწლივ ხუთასი მანეთი ხარჯოს სამი დაბერებული და დეარდნილი ცხენისწარჩენად, რომელიც განთავისუფლებული უნდა იყენენ ყველივე შრომისაგან. ეს პირობა მტკიცეთ აუსრულებია მეგობარს და ცხენთსაყასობზედ ნასყიდის მისწრწილის სამის ცხენისათვის მშვენიერი საჯინობო აუშენებია.

